

განმარტებითი ბარათი

კანონპროექტზე „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“

წარმოდგენილი კანონპროექტის მიზანია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში არსებული იმ ხარვეზების აღმოფხვრა და დახვეწა, რომლებიც გამოვლინდა სასამართლოების საქმიანობის პრაქტიკაში და რომელთა გამოსწორება რეალურად შეუწყობს ხელს საქმისწარმოების პროცესის ეფექტურობას.

კოდექსის 24-ე მუხლის მე-5² ნაწილის შესაბამისად, სისხლისსამართლებრივი დევნის გაჭიანურების თაობაზე სარჩელის დაკმაყოფილება იწვევს ყველა იმ მტკიცებულების უკანონოდ ცნობას, რომლებიც მოპოვებულ იქნა წინასწარი გამოძიების დროს მას შემდეგ, რაც შეიქმნა პირის სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საკმარისი საფუძველი. აღნიშნული ნორმა წარმოადგენს დამაბრკოლებელ გარემოებას სისხლის სამართლის საქმის წარმოებასთან დაკავშირებით, ვინაიდან იგი შეუძლებელს ხდის საქმის წარმოებას იმ პირების მიმართაც, რომელთან დაკავშირებითაც ასეთ გაჭიანურებას და შესაბამისად საპროცესო დარღვევას ადგილი არ ჰქონია. გარდა ამისა, აღნიშნული საფუძველით დაუსვებლად უნდა იქნეს ცნობილი ასევე ის მტკიცებულებები, რომლებიც ამ საქმეში არსებობდა ამ პირის მიმართ ჩადენილ სხვა დანაშაულთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, პროექტის პირველი მუხლის პირველი პუნქტი ითვალისწინებს ცვლილებას, რომლის თანახმადაც მტკიცებულებების დაუსვებლად მიჩნევის საკითხი შეიძლება დადგეს მხოლოდ იმ კონკრეტული პირის მიმართ და მხოლოდ იმ კონკრეტულ ბრალდებასთან მიმართებაში, რომელთან დაკავშირებითაც მოხდა კანონის მოთხოვნათა დარღვევა.

პროექტის პირველი მუხლის მეორე პუნქტი ითვალისწინებს გამოძიების ან პროკურორის მოქმედების და დადგენილების ადვოკატის მიერ გასაჩივრების წესის შეცვლას, ამასთან აკონკრეტებს, თუ კოდექსის რომელი მუხლით დადგენილი წესით უნდა მოხდეს გასაჩივრება.

პროექტის პირველი მუხლის მე-3 და მე-5 პუნქტით გათვალისწინებული კოდექსის 290-ე მუხლის მე-2 ნაწილის ცვლილება ადგენს, რომ თუ კონკრეტულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში მაგისტრატი მოსამართლე არ არის დანიშნული, ამ ნაწილებში აღნიშნულ მაგისტრატი მოსამართლის უფლებამოსილებებს ახორციელებს შესაბამისი რაიონული (საქალაქო) სასამართლო.“.

პროექტის პირველი მუხლის მე-4 პუნქტით კონკრეტდება განსასჯელის სამართალში მიცემამდე აღმკვეთი ღონისძიების შეცვლის საკითხის განხილვის წესი. კერძოდ, კოდექსის 422-ე მუხლი განსაზღვრავს სამართალში მიცემის საკითხის გადაწყვეტისას აღმკვეთის ღონისძიების შეცვლის წესს, ხოლო არ აკონკრეტებს იმავე საკითხის განხილვის წესს სამართალში მიცემამდე. აქედან გამომდინარე, ხდება კოდექსის 162-ე მუხლში 422-ე მუხლით გათვალისწინებულ წესზე მითითება.

პროექტის პირველი მუხლის მე-5 პუნქტით იცვლება კოდექსის 290-ე მუხლის მე-2 ნაწილის რედაქცია, რომელიც განსაზღვრავს გადაუდებელ შემთხვევაში ამოღების, ჩხრეკის, საცხოვრებელი ბინისა და სხვა მფლობელობის დათვალიერების წესს. აღნიშნული ნორმა პირდაპირ არ ითვალისწინებს ასეთ შემთხვევაში პირადი ჩხრეკის ჩატარების აუცილებლობის წარმოშობისას მისი

ჩატარების წესს. მართალია ასეთ ვითარებაში პროცესის მწარმოებელმა ორგანომ უნდ იმოქმედოს კოდექსის 145-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით, მაგრამ პროექტი ითვალისწინებს აღნიშნულის დაკონკრეტებას და 290-ე მუხლის მე-2 ნაწილში მითითებითი ნორმის დამატებას.

პროექტის პირველი მუხლის მე-6 პუნქტით ხდება კოდექსის 481-ე მუხლში არსებული რედაქციული ხარვეზის გამოსწორება მოწმის ჩვენებასთან დაკავშირებით.

პროექტის პირველი მუხლის მე-7 პუნქტი ითვალისწინებს მოსამართლისათვის განაჩენის მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილის წაკითხვის უფლებამოსილების მინიჭებას.

პროექტის ავტორია საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

პროექტის მიღება არ არის დაკავშირებული დამატებითი საბიუჯეტო სახსრების გამოყოფასთან.